სასწავლო პროექტის გეგმა

სასწავლო თემის ავტორი	
სახელი და გვარი	თამარ დათაშვილი
რაიონი	სამგორი
სკოლა	180-ე
ქალაქი	თბილისი

თემის მონახაზი

თემის დასახელება

საგანმანათლებლო პროექტი „მწიგნობარი“

თემის შინაარსი

მოსწავლეთა წიგნიერების ხარისხის გაუმჯობესება და ინტელექტის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასწავლო პროცესისა, პროექტის მიზანია მოსწავლეებს შევაყვარო წიგნი და გავუფართოო თვალსაწიერი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს მიეცემათ ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც უნდა წაიკითხონ გარკვეულ ვადაში, შემდეგ ჯგუფებად დაყოფილ გუნდებს შორის მოეწყობა ინტელექტუალური თამაში მიცემულ ტექსტებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის დავალებების საშუალებით. ამის გარდა, მათ მოუწევთ ერთ-ერთი დავალების ფარგლებში უცხო ტექსტის ანალიზიც. თითოეული დავალების შესაფასებლად ჟიურის წევრებს ექნებათ ჩემ მიერ წინასწარ მომზადებული სწორი პასუხების ფურცელი და შეფასების რუბრიკა. პროექტი მოიცავს 5 ტურს, თითოეული ტურის შემდეგ ყველაზე ნაკლები ქულების მქონე ჯგუფები დატოვებენ თამაშს, ხოლო დანარჩენი ჯგუფები გააგრძლებენ თამაშს პირველობის მოსაპოვებლად. ფინალურ თამაშში (მე-5 ტურში) შეეჯიბრება ორი გუნდი და გამარჯვებულებს გადაეცემათ საჩუქრები და სიმბოლური პრიზი - ბუს ქანდაკება.

საგანი

ქართული ენა და ლიტერატურა

დონე/კლასი

მე-6 კლასი, დაწყებითი საფეხური, 60 მოსწავლე: 5-კაციანი 12 ჯგუფი

განხორციელების დროის ჩარჩო

12 კვირა (თითო ტურს შორის 3 კვირა)

თემის საფუძვლები

შინაარსობრივი სტანდარტები და ინდიკატორები

VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.

VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

ესგ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს: შეაყვაროს კითხვა ; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

- ინფორმაციის კლასიფიკაცია, ანალიზი და სინთეზირება პრობლემების გადასაჭრელად

და კითხვებზე პასუხების გასაცემად; ● პასუხისმგებლობების გაზიარებ ამუშაობის პროცესში. ● დროის და სამუშაო დატვირთვის ეფექტური განკარგვა; ● ადეკვატურად და პროდუქტიულად თანამშრომლობა;
მოსწავლეების ამოცანები/სწავლის შედეგები
● მოსწავლეები წაიკითხავენ სხვადასხვა ჟანრის, თემატიკის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს; ● ამოიღებენ ფაქტობრივ მასალას და დააკვირდებიან ტექსტებში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს; ● გააკეთებენ წაკითხული ტექსტების ანალიზს; ● გამოიმუშავებენ დროის მონიტორინგისა და მიზნობრივად გამოყენების უნარებს; ● ითანამშრომლებენ ჯგუფში და მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს.
მიმართულების მიმცემი საკვანძო შეკითხვები

ზოგადი კითხვა	*რა არის წიგნიერება?* *რისთვის უნდა ვკითხულობდეთ ლიტერატურას?*
თემატური კითხვები	როგორ ავიმაღლოთ წიგნიერების დონე? როგორ ლიტერატურას უნდა ვკითხულობდეთ ჩვენს ასაკში? რას უნდა დავაკვირდეთ კითხვის პროცესში? როგორ ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს კითხვა?
შინაარსობრივი კითხვები	რას სძენს ადამიანს ლიტერატურის კითხვა? რამდენად მომგებიანია ჯგუფში სწორად გადანაწილებული სამუშაო საბოლოო შედეგისათვის?

შეფასების გეგმა
თითოეული ტური მოიცავს შეფასების რუბრიკას ჟიურისათვის მოსწავლეთა ჯგუფების მუშაობის შესაფასებლად. თითო სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით. თითოეული ტური მოიცავს რამდენიმე ტიპის დავალებას(კითხვაზე პასუხი წინასწარ მიცემული ნაწარმოებებიდან, დავალება შესაბამისი ნაწარმოებებიდან მონაკვეთების ამოცნობა, უცხო ტექსტის ანალიზი, კითხვაზე პასუხი გუნდის კაპიტნებისთვის და მხატვრული ხერხების ამოცნობა მოცემულ ტექსტში.) თითოეული ამ დავალების შესაფასებლად ჟიურის წევრებს ეძლევათ შეფასების რუბრიკები.

პროექტზე მუშაობის დაწყებამდე		**მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე და ასრულებენ დავალებებს**		**პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ**	
მინილექცია მოსწავლეებთან წიგნიერების საჭიროების, მისი მნიშვნელობისა და მისი დონის ამაღლების შესაძლებლობების შესახებ	კითხვარი ბოლო პერიოდში წაკითხული კლასგარეშე ლიტერატურის ნუსხის დასადგენად.	*თითოეულ ტურს აფასებს ჟიური, რომელსაც წინასწარ ხვდება ჩემ მიერ მომზადებული სწორი პასუხების ფურცელი ქულებითურთ.*	*თითოეული ტური შეიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს: ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებლად, უცხო ტექსტზე მუშაობის უნარების განვითარებას, დროის მონიტორინგის უნარის განვითარებას, მხატვრულ ხერხებზე დაკვირვებისა და გარჩევის უნარის განვითარებას, თითოეულ ამ დავალებას ენიჭება შესაბამისი ქულა.*	კითხვარი მოსწავლეებისათვის პროექტით მიღებული ცოდნისა და პროექტის მიმდინარეობის პროცესში წარმოჩენილ პრობლემათა დასადგენად.	*კითხვარი მშობლებისათვის გარეშე თვალით დანახული პროექტის მიმდინარეობის , საჭიროებისა და ხარვეზების დასადგენად.*
შეფასების/შეფასების ინსტრუმენტების მოკლე მონახაზი					

მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად და პროექტის სწორად დაგეგმვისათვის პროექტის დაწყებამდე მოსწავლეებს შევავსებინებ კითხვარს იმის შესახებ, თუ რომელი კლასგარეშე მხატვრული ნაწარმოები წაიკითხეს ბოლოს, რამდენად კითხულობენ, როგორი ჟანრის ნაწარმოებებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს კითხვარი წარმოაჩენს წიგნიერების ამაღლებისათვის ზრუნვის აუცილებლობის ხარისხს და ასევე დამეხმარება ასაკობრივი სპეციფიკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში წასაკითხი ნაწარმოებების ნუსხის შერჩევაში; თითოეული ტურში მოსწავლეთა მუშაობის შესაფასებლად ინტელექტუალური თამაშის დროს ჟიურის წინასწარ მომზადებული სწორი პასუხების ფურცელი ექნება შეფასების რუბრიკასთან ერთად (თითო სწორი პასუხი თითო ქულა). (რუბრიკას დავურთავ ამ გრაფის ბოლოს) თამაშის მსვლელობის პერიოდში მე ვაკონტროლებ , რამდენად იცავენ მოსწავლეები რეგლამენტს და დროის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ვადაზე ადრე დავალების შესრულებისათვის გუნდი იღებს კიდევ ერთ დამატებით ქულას. ასევე ჯარიმდება ქულის დაკლებით დისციპლინის დამრღვევი გუნდი. ეს აიძულებს მოსწავლეებს აკონტროლონ დრო და ,შესაბამისად , განივითარონ დროის მონიტორინგისა და სწორად გამოყენების უნარი. ამ შეფასებების საფუძველზე ყოველ ტურის შემდეგ თამაშს ეთიშება პირველსა და მეორე ტურში სამ-სამი, ხოლო მეოთხე და მეხუთე ტურში ორ-ორი გუნდი. ფინალურ თამაშში შეეჯიბრება ორი გუნდი. იმ გუნდების წევრები , რომლებიც გამოეთიშნენ თამაშს, სხვა სახით აგრძელებენ მონაწილეობას პროექტში, კერძოდ, ისინიც კითხულობენ მოცემულ ლიტერატურას და წერენ ტესტურ დავალებას მიღებული ცოდნის შესამოწმებლად. ფასდებიან ქულით, რომელიც მათ აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება. პროექტის ბოლოს მოსწავლეები და მშობლები ავსებენ კითხვარებს პროექტის წარმატებით თუ წარუმატებლობით განხორციელების დასადგენად. (იხ. კითხვარების ნიმუშები)

კითხვარი პროექტის მონაწილეთათვის

გთხოვთ ათბალიანი შეფასებით შეაფასოთ პროექტის მიმდინარეობა და შედეგები!

(შემოხაზეთ სასურველი შეფასება და კომენტარი გაუკეთეთ თქვენს შეფასებებს)

1.რამდენად გასაგები და მისაღები იყო თქვენთვის ეს პროექტი?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

2.რამდენად გამჭვირვალე და ობიექტური იყო შეფასების სისტემა და თავად შეფასება?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

3.რამდენად საინტერესოდ იყო შერჩეული ნაწარმოებები პროექტისათვის?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

4.რას მოელოდით ამ პროექტისაგან და რამდენად გაამართლა თქვენი იმედები?

პასუხი:----------

---

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

5.გსურთ , რომ კიდევ გაგრძელდეს მსგავსი პროექტი?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

6. თქვენი აზრით, რა ხარვეზი ჰქონდა ამ კონკრეტულ პროექტს?

პასუხი:

7. რა მოგცათ პირადად თქვენ ამ პროექტმა?

პასუხი:----------

კითხვარიპროექტის მონაწილეთა მშობლებისათვის

გთხოვთათბალიანიშეფასებითსეაფასოთპროექტისმიმდინარეობადაშედეგები!

(შემოხაზეთსასურველიშეფასებადაუპასუხეტ დასმულ შეკითხვებს)

1.რამდენადმისაღებიიყოთქვენთვისესპროექტი?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

2.რამდენადგამჭვირვალედაობიექტურიიყოშეფასებისსისტემადათავადშეფასება?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

3.რამდენადსაინტერესოდიყოშერჩეულინაწარმოებებიპროექტისათვის?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

4.რასმოელოდითამპროექტისაგანდარამდენადგაამართლათქვენიიმედები?

პასუხი:----------

---

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

5.გსურთ , რომკიდევგაგრძელდესმსგავსიპროექტი?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

6. თქვენიაზრით, რახარვეზიჰქონდაამკონკრეტულპროექტს?

პასუხი:----------

---

7. რამოგცათპირადადთქვენ და თქვენს შვილს ამპროექტმა?

პასუხი:----------

პროექტი „მწიგნობარი“

შეფასების ცხრილი (ერთი სწორი პასუხი ერთი ქულა)

გუნდის სახელწოდება	**I** **გუნდების თამაში**	**II** **ამოიცანი ეპიზოდი**	**III** **უცხო ტექსტის გააზრება**	**IV** **კაპიტნების თამაში**	**ჯამი**
„უხილავი საუნჯე“	**16+1**	**5**	**0**	**3**	**25**
„ხმა მომავლიდან“	**14**	**5+1**	**1+1**	**1**	**23**

სხვა საკითხები

საბაზისო უნარ-ჩვევები

უცხო ტექსტის აღქმისა და გააზრების უნარი, ინტერნეტით სარგებლობისა და დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების უნარები. გუნდური მუშაობის უნარი.

სასწავლო პროცედურები

მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად და პროექტის სწორად დაგეგმვისათვის პროექტის დაწყებამდე მოსწავლეებს შევავსებინებ კითხვარს იმის შესახებ, თუ რომელი კლასგარეშე მხატვრული ნაწარმოები წაიკითხეს ბოლოს, რამდენად ბევრს კითხულობენ, როგორი ჟანრის ნაწარმოებებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს კითხვარი წარმოაჩენს წიგნიერების ამაღლებისათვის ზრუნვის აუცილებლობის ხარისხს და ასევე დამეხმარება ასაკობრივი სპეციფიკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში წასაკითხი ნაწარმოებების ნუსხის შერჩევაში; მოსწავლეებს ეძლევათ დავალებად წაიკითხონ კონკრეტული ავტორების კონკრეტული ნაწარმოებები სამი კვირის ვადით, შემდეგ გაიმართება ინტელექტუალური თამაში, რომელიც მოიცავს 5 ტურს, თითოეული ტური მოიცავს რამდენიმე ტიპის დავალებებს: კითხვაზე პასუხი წინასწარ მიცემული ნაწარმოებებიდან, დავალება შესაბამისი ნაწარმოებებიდან მონაკვეთების ამოცნობა, უცხო ტექსტის ანალიზი, კითხვაზე პასუხი გუნდის კაპიტნებისთვის და მხატვრული ხერხების ამოცნობა მოცემულ ტექსტში. ეს მრავალფეროვანი დავალებები ერთდროულად ავითარებს დამოუკიდებლად აზროვნების, ინფორმაციის მოძიების, ანალიზის , უცხო ტექსტის გააზრების, მხატვრულ ხერხებზე მუშაობის , ჯგუფში სამუშაოს სწორი განაწილების, დროის მონიტორინგის უნარებს, ასევე უჩენს ინტერესს და სურვილს წაიკითხონ მეტი და გაიფართოონ თვალსაწიერი. სწორედ ამ უნარების განვითარებას ავალებს მასწავლებელს ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული მუხლები.

თითოეული ტურისათვის ვამზადებ კითხვებს და დავალებებს სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის და ასევე სწორი პასუხების ფურცლებს რუბრიკასთან ერთად ჟიურისათვის. თამაშის მსვლელობის პერიოდში მე თითოეული დავალების მიცემისთანავე ვაძლევ რჩევებს, ვაცნობ თამაშის წესებს, ვაძლევ კონკრტულ დროს დავალების შესასრულებლად. მსვლელობის პერიოდში ვაკონტროლებ , რამდენად იცავენ მოსწავლეები რეგლამენტს და დროის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ვადაზე ადრე დავალების შესრულებისათვის გუნდი იღებს კიდევ ერთ დამატებით ქულას. ასევე ჯარიმდება ქულის დაკლებით დისციპლინის დამრღვევი გუნდი. ეს აიძულებს მოსწავლეებს აკონტროლონ დრო და ,შესაბამისად , განივითარონ დროის მონიტორინგისა და სწორად გამოყენების უნარი. ამ შეფასებების საფუძველზე ყოველ ტურის შემდეგ თამაშს ეთიშება პირველსა და მეორე ტურში სამ-სამი, ხოლო მეოთხე და მეხუთე ტურში ორ-ორი გუნდი. წინა ტურში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით ვარჩევ წასაკითხი ლიტერატურის შემდეგ ნუსხას, ვამატებ ან ვაკლებ თითოეული დავალების შესრულებისთვის მიცემულ დროს, ვითვალისწინებ ტექნიკურ დეტალებს და ვხვეწ მათ. ფინალურ თამაშში შეეჯიბრება ორი გუნდი. ფინალური თამაში გაიმართება მედიათეკის დარბაზში, რაც

სასურველ გარემოს უზრუნველყოფს მათთვის და გააჩენს კიდევ დამატებით მოტივაციას. იმ გუნდების წევრები , რომლებიც გამოეთიშნენ თამაშს, სხვა სახით აგრძელებენ მონაწილეობას პროექტში, კერძოდ, ისინიც კითხულობენ მოცემულ ლიტერატურას და წერენ ტესტურ დავალებას მიღებული ცოდნის შესამოწმებლად. ფასდებიან ქულით, რომელიც მათ აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება. პროექტის ბოლოს მოსწავლეები და მშობლები ავსებენ კითხვარებს პროექტის წარმატებით თუ წარუმატებლობით განხორციელების დასადგენად. (იხ. კითხვარების ნიმუშები) ეს კითხვარები დამეხმარება მომავალში ამ და სხვა მსგავს პროექტებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრაში.

დიფერენცირებული სწავლება	
სპეციალური საჭიროებები	*კონკრეტულად იმ კლასების კონტიგენტის გათვალისწინებით სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება იმ ორ კლასში, რომელშიც დავგეგმე ეს პროექტი. თუმცა ასეთი მოსწავლეებისათვის შესაძლებელია მათი შესაძლებლობების ფარგლებში შესაბამისი დავალებების შეთავაზება და მატი აქტიური ჩართვა პროექტში, ასევე მათი დასაქმება საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.*

სასწავლო თემისთვის საჭირო მასალები		
ტექნოლოგია – ტექნიკა (მონიშნეთპროექტისათვისსაჭიროტექნოლოგიურიუზრუნველყოფა)		
☐ ფოტოკამერა	☐ ლაზერული დისკი	☐ VCR, ვიდეო
☑ კომპიუტერი (ები)	☑ საბეჭდი მანქანა/პრინტერი	☐ ვიდეოკამერა
☐ ციფრული კამერა	☑ პროექტორი	☐ ვიდეო საკონფერენციო აღჭურვილობა.
☐ DVD ფლეიერი	☐ სკანერი	☐ სხვა
☑ ინტერნეტკავშირი	☐ ტელევიზორი	
ტექნოლოგია – პროგრამული უზრუნველყოფა (მონიშნეთ პროექტის ფარგლებში გამოყენებული პროგრამა/პროგრამები)		
☑ მონაცემთა ბაზა/ცხრილები	☐ ფოტო/სურათების დამუშავება	☐ ვებგვერდის შექმნა
☐ საგამომცემლო პროგრამები	☑ ინტერნეტძიება	☑ ვორდის პროგრამა
☑ ელფოსტის პროგრამა	☐ მულტიმედია	☐ სხვა
☐ ენციკლოპედია კომპაქტდისკზე		
ბეჭდვითი მასალები	*იმ ავტორთა ნაწარმოებები, რომელთაც შევურჩევ მოსწავლეებს წასაკითხად თითოეული ტურისათვის:* ვაჟა-ფშაველას მოთხრობები; რევაზ ინანიშვილის მოთხრობები; გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები; ნოდარ დუმბაძის საბავშვო მოთხრობები; გიორგი ლეონიძის მოთხრობები „ნატვრის ხიდან“; გოდერძი ჩოხელის მოთხრობები;	

	ო, ჰენრის მოთხრობა.
ინვენტარი/მასალები	*ფაილის ფურცლები, საჭირო ლიტერატურა, სასკოლო ინვენტარი.*
ინტერნეტრესურსები	Lib.ge; literaturaiatp.ge; burusi.ge …
სხვა რესურსები	*ვიზიტი მედიათეკაში და გაწევრიანება, მშობლების ჩართულობა.*

საგანმანათლებლო პროექტის რეფლექსია

ახალგაზრდა თაობის წიგნიერება და მისი დაინტერესება მხატვრული ლიტერატურით ყოველთვის აქტუალური პრობლემაა. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩვენს დროში, რადგან ინფორმაციის საშუალებების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ კიდევ უფრო დააშორა ახალგაზრდები წიგნს. მასწავლებლის პირდაპირი დანიშნულება და ვალდებულებაა შეაყვაროს კითხვა მოსწავლეებს, იზრუნოს მათ ინტელექტუალურ განვითარებაზე, შესძინოს და განუვითაროს სხვადასხვა ჟანრის, ტიპის ნაწარმოებების გაანალიზების უნარი.მასწავლებლის სტანდარტი: მუხლი 14.2 ა) სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაანალიზება შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით; ბ) ტექსტის ანალიზი სტრუქტურისა და ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გათვალისწინებით;

პრობლემის აქტუალურობამ მიბიძგა დამეგეგმა და განმეხორციელებინა პროექტი „მწიგნობარი“ ორ პარალელურ მე-6 კლასში (120 მოსწავლე, 5-ბავშვიანი 12 გუნდი). უპირველეს ყოვლისა, უნდა განმესაზღვრა საჭიროებები, რომელთა აღმოფხვრაც უნდა გამხდარიყო პროექტის მიზანი.

ესგ - **VI. 7.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.

VI. 10. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

ესგ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს: შეაყვაროს კითხვა ; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების უნარი.

ჩემ მიერ შედგენილი კითხვარის საშუალებით შევძელი გამერკვია , რამდენად ბევრ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ, რომელი ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებებს ანიჭებენ უპირატესობას და რა წაიკითხეს ბოლოს. კითხვარი მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო ავტორებისა და ნაწარმოებების ჩამონათვალი, (მოსწავლეთა ასაკის, გემოვნების, უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით) რომელიც დაევალებათ პროექტში მონაწილე მოსწავლეებს წასაკითხად. პროექტი 5 ტურისაგან შემდგარი ინტელექტუალური თამაშისაგან შედგება. თორმეტი 5-ბავშვიანი გუნდიდან საბოლოოდ ფინალში დარჩება მხოლოდ ორი გუნდი, რომლებიც ფინალური თამაშის შემდეგ დაჯილდოვდებიან სამახსოვრო პრიზებით, ხოლო გამარჯვებული გუნდი მიიღებს სამახსოვრო პრიზს -ბუს პატარა ქანდაკებას, როგორც ინტელექტისა და სიბრძნის სიმბოლოს.

უნდა აღვნიშნო, რომ ყოველი შემდეგი ტურიდან გამოთიშული გუნდების წევრები სხვა ფორმატით აგრძელებენ მონაწილეობას პროექტში: ისინი კითხულობენ იმავე ნაწარმოებებს და შემდეგ ტესტური დავალებების საშუალებით ვამოწმებ მათი კითხვის უნარსა და ხარისხს, რაც შემდეგ, მოტივაციის ამაღლების მიზნით, აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ასე „ვაიძულებ“ მათ არ გაეთიშონ პროექტს, უზრუნველვყო პროექტის დასრულებამდე ყველა მოსწავლის ჩართულობა და ყველა ის ნაწარმოები წაიკითხონ და გააანალიზონ, რომლებსაც კითხულობენ მათი მეგობრები.

თითოეული ტური მოიცავს რამდენიმე ტიპის დავალებებს: კითხვაზე პასუხი წინასწარ მიცემული ნაწარმოებებიდან, დავალება შესაბამისი ნაწარმოებებიდან მონაკვეთების ამოცნობა, უცხო ტექსტის ანალიზი, კითხვაზე პასუხი გუნდის კაპიტნებისთვის და მხატვრული ხერხების ამოცნობა მოცემულ ტექსტში. ეს მრავალფეროვანი დავალებები ერთდროულად ავითარებს დამოუკიდებლად

აზროვნების, ინფორმაციის მოძიების, ანალიზის , უცხო ტექსტის გააზრების, მხატვრულ ხერხებზე მუშაობის , ჯგუფში სამუშაოს სწორი განაწილების, დროის მონიტორინგის უნარებს, ასევე უჩენს ინტერესს და სურვილს წაიკითხონ მეტი და გაიფართოონ თვალსაწიერი. სწორედ ამ უნარების განვითარებას ავალებს მასწავლებელს ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული მუხლები.

მიცემული დავალება დიდი სიფრთხილით უნდა აირჩეს, რომ მიცემულ სამკვირიან ვადაში მათი წაკითხვა იყოს შესაძლებელი.

იმ რისკფაქტორის აღმოსაფხვრელად, რომ შესაძლოა რომელიმე მათგანს ვერ მოეძიებინა საჭირო ლიტერატურა, პროექტის დაწყებამდე მოსწავლეები წავიყვანე მედიათეკაში, გავაცანი იქაური სივრცე, გავაწევრიანე მსურველები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ, წიგნებითა და თავისუფალი ინტერნეტსივრცით ესარგებლათ. ასევე მშობლებთან შეხვედრა გავმართე და მივაწოდე მათ საჭირო ლიტერატურის სია, რათა დახმარებოდნენ შვილებს მათ მოძიებაში.

გარდა შეფასების რუბრიკებისა, რომლებიც ახლავს ყველა ტურის ყველა დავალებას , რომ ჟიურიმ ობიექტურად შეაფასოს მოსწავლეთა მუშაობა, ასევე აუცილებელია თითოეული ტურის შემდეგ მოსწავლეებთან საუბარი დანახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მაგ, უცხო ტექსტის დავალების მიცემისას დაკვირვებამ აჩვენა, რომ აუცილებელი იყო გუნდის თითოეულ წევრს ინდივიდუალურად ჰქონოდა ეს უცხო ტექსტი, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მისი აღქმა მოსწავლეებისათვის. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი გავითვალისწინე შემდეგ ტურებში. ასევე პროექტის მსვლელობისას აუცილებელია ინსტრუქციების მიცემისას სიზუსტე შეფასებასთან, რეგლამენტთან თუ საჯარიმო ან წამახალისებელ სანქციებთან დაკავშირებით.

მიუხედავად საკმაოდ დიდი მასშტაბისა, ვფიქრობ პროექტით მისაღწევ მიზანს მივაღწიე და შედეგზე გავედი. ამას მოწმობს პროექტის ბოლოს ჩატარებული ანონიმური გამოკითხვა მშობლების და მოსწავლეების, რომლებიც აბსოლუტურად დადებითად აფასებდნენ პროექტს და ასევე ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ ეს პროექტი მოსწავლეთა მოთხოვნით მესამე წელია გრძელდება. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები ხშირად იყენებენ წაკითხულ ნაწარმოებებს ლიტერატურულ პარალელებად, რაც ძალიან მახარებს და მიღწეული შედეგის გრძელვადიან პერსპექტივაზე მიმანიშნებს. პროექტის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა მაქვს, ასევე მთელი პროექტის განმავლობაში განხორციელებული დავალებებისა და პროექტის ბოლოს შესაჯამებლად გამოყენებული კითხვარის ფაქტობრივი მასალაც.

პროექტმა მასწავლა, რომ თითოეული აქტივობის განხორციელების შემდეგ აუცილებელია ანალიზი, შემდეგი ნაბიჯების სწორად დასაგეგმად.

გამოყენებული ლიტერატურა: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 სასწ.წელი;